

**“ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი”  
აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა  
და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. “ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი” აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი (შემდგომში – „წესი“) შემუშავებულია „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმაღლესიგანათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ წესდების საფუძველზე.

2. წესის მიზანია უზრუნველყოს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის შერჩევა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა, დაწესებულების აკადემიური და სამეცნიერო მიზნების, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისა და უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, კონკურსის საჯაროობის, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტისათვის მისი ერთიანობის, ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

**მუხლი 2. საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები**

1. უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება“.

3. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი“.

4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 (სამი) წლის ვადით.

5. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის კონკურსში მონაწილეობის უფლება, ასევე საკონკურსო თანამდებობის დაკავების კონკრეტული ვადა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

6. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობების თანახმად (მუხლი 35 მე-5 პუნქტი) უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე დაშვებულია აჩეული იყოს მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული წოდების მქონე პირი. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია უნდა დადასტურდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციით მქონეთ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების აუცილებელი კომპეტენცია.

### **მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი**

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. ბრძანებაში მიეთითება კონკურსის პირობები, ვაკანტური აკადემიური თანამდებობები, რეგისტრაციის ვადები და ადგილი, კონკურსის ჩატარების და დასრულების თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.
3. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე შესაძლებელია გამოქვეყნდეს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში/ვაკანსიების ოფიციალურ საინფორმაციო ვებ-გვერდზე (jobs.ge), საბუთების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
4. ვაკანტურია კადემიური თანამდებობების ჩამონათვალს განსაზღვრავს რექტორი ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით.
5. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტის დანიშვნის შესახებ შესაბამის სამართლებრივ აქტს გამოსცემს რექტორი კონკურსის შედეგების საფუძველზე.
6. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი უნივერსიტეტთან აფორმებს ხელშეკრულებას დანართი 1 -ში მოცემული ფორმის მიხედვით.

### **მუხლი 4. საპროცედურო და საკონკურსო კომისიები:**

კონკურსს ატარებს საპროცედურო და ასაკონკურსო კომისიები, რომლის შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

#### 4.1. საპროცედურო კომისია

1. საკონკურსო საბუთების მიღებას, დამუშავებას და საკონკურსო კომისიისათვის წარდგენას უზრუნველყოფს საპროცედურო კომისია.
2. საპროცედურო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს რექტორი. მისი შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 2 წევრის (თავმჯდომარე და თანაშემწე) ოდენობით. საპროცედურო კომისია თავის პირველ სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს.
3. საპროცედურო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს კონკურსანტი.
4. საპროცედურო კომისია რეგისტრაციაში ატარებს კონკურსში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს შესაბამის ცნობებს, ახორციელებს ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. საპროცედურო კომისია თავის საქმიანობას წარმართავს წინასწარ გამოყოფილ სამუშაო ოთახში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კომპიუტერით და საკეტით დაცული კარადით.

#### 4.2. საკონკურსო კომისია

1. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა გამოვლენის მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია 3 წევრის შემადგენლობით.
2. საკონკურსო კომისიას ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით ქმნის უნივერსიტეტის რექტორი.
3. საკონკურსო კომისიის წევრი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საკონკურსო თანამდებობის/თანამდებობების შესაბამისი დარგის კომპეტენტური სპეციალისტი.
4. საკონკურსო კომისიის წევრს უფლება არააქვს იყოს აკადემიური თანამდებობის მაძიებელი (კონკურსანტი).
5. საკონკურსო აკადემიური თანამდებობების შესაბამისი მიმართულებების/დარგების სიმრავლის მიხედვით საკონკურსო კომისია შეიძლება იყოს საფაკულტეტო ან აერთიანებდეს ერთი ან რამდენიმე მიმართულების/დარგის სპეციალისტებს.
6. საკონკურსო კომისია თავის პირველ სხდომაზე ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს (ფორმდება შესაბამისი ოქმით).
7. საკონკურსო კომისია ისმენს საპროცედურო კომისიის ინფორმაციას შემოტანილი განცხადებების თაობაზე და მიღება-ჩაბარების აქტით საპროცედურო კომისიისგან იბარებს კონკურსანტების განცხადებებსა და წარმოდგენილ დოკუმენტაციას.
8. საკონკურსო კომისია „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ შესაბამისად, დადგენილ ვადებში გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულებს და ადგენს შემაჯამებელ ოქმს,

რომლის დადგენილება ქვეყნდება საჯაროდ და განთავსდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

## მუხლი 5. კონკურსისთვის წარმოსადგენი საბუთები

- 5.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს უნივერსიტეტის საპროცედურო კომისიას;
- 5.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარმოდგენილი იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე.
- 5.3. პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობებზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ქსეროასლთან ერთად;

ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების მიერ;

გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების სილაბუსი (სილაბუსები);

დ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია) ავტორის შეხედულებისამებრ, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას (გამოქვეყნებული ბოლო 6 წლის განმავლობაში);

ე) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია (პროფესორისთვის და ასოცირებული პროფესორისთვის);

ვ) უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ზ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4;

თ) ინგლისური ენის ცოდნის დასტური:

ინგლისური ენის ცოდნის დასადასტურებლად კონკურსანტს შეუძლია წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან უსდ-ს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დამადასტურებელი დიპლომი, ან წარმოადგენს ცნობა იმის თაობაზე, რომ სწავლობდა და /ან ასწავლიდა - მიყავდა სასწავლო კურსი - დისციპლინა ინგლისურ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტმა ვერ დააკმაყოფილა ვერცერთი ზემოთ

ჩამოთვლილი მოთხოვნა, მას ჩაუტარდება ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი გამოცდა.

5.4. ასისტენტ პროფესორის და ასისტენტის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს:

ა) პირადობის მოწმობის დედანი – ქსეროასლთან ერთად;

ბ) სამოტივაციო წერილი;

გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია) ავტორის შეხედულებისამებრ, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას (გამოქვეყნებული ბოლო 6 წლის განმავლობაში);

დ) უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4.

ვ) ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი ვერ წარადგენს ენის ცოდნის შესაბამის სერტიფიკატს, მას ჩაუტარდება ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი გამოცდა.

5.5. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსი სჩატარების ერთიანი წესი“–თ დადგენილი კონკურსში მონაწილეობის მსურველის განცხადება (წინამდებარე წესის დანართი №2), კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტა (წინამდებარე წესის დანართი №3) და შესაბამისი დოკუმენტაცია (კონკურსანტის ანკეტის დამტკიცებული ფორმის/შევსების წესის დაცვა სავალდებულოა).

5.6. კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა ნაბეჭდი სახით.

5.7. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნას სრულად და მას უნდა აერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა.

5.8. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

- 5.9. განცხადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება ფიქსირდება სპეციალურ ზონარგაყრილ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომლის ყოველი გვერდი წინასწარ დანომრილი და დამოწმებულია რექტორის ხელწერითა და უნივერსიტეტის ბეჭდით (წინამდებარე წესის დანართი № 4).
- 5.10. განცხადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, საპროცედურო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში აფიქსირებს, თუ რამდენი განაცხადით დასრულდა ჟურნალის წარმოება.
- 5.11. განცხადებების მიღების დროს დაშვებული შეცდომის შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სარეგისტრაციო ჟურნალის „შენიშვნის“ გრაფაში. სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერის გადასწორება დაუშვებელია. „შენიშვნის“ გრაფის შევსების შემდეგ განაცხადის მიღება უნდა გაფორმდეს ახალი სტრიქონიდან.
- 5.12. განცხადების მიღების შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე გაიცემა სათანადო ცნობა, რომელშიც აღინიშნული იქნება განმცხადებლის სახელი, გვარი, ფაკულტეტისა და საძიებელი თანამდებობის დასახელება, ასევე საბუთების მიღების თარიღი და რიგით ინომერი (წინამდებარე წესის დანართი № 5).
- 5.13. საპროცედურო კომისიისაგან ცნობის ან სხვა რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი სარეგისტრაციო ჟურნალში ადასტურებს ხელმოწერით.

#### **მუხლი 6. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი**

- 6.1. პირველივე სხდომაზე საკონკურსო კომისია თავის წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიას.
- 6.2. კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა მინიმუმ 2/3.
- 6.3. გადაწყვეტილების მისაღებად კომისია ხდომაზე ატარებს ღიაკენჭისყრას. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის მინიმუმ 2/3. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმებში.
- 6.4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში: შექმნას სპეციალური საექსპერტო ჯგუფები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;
- 6.5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებაზე.
- 6.6. კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსანტის მიერ საცდელი ლექციის ჩატარებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ერთი დღით ადრე მაინც, აცნობებს კონკურსანტს.
- 6.7. საკონკურსო კომისია კონკურსანტის მონაცემებს აფასებს „კონკურსანტის შეფასების ფორმის“ (წინამდებარე წესის დანართი 6) შესაბამისად შემდეგი კატეგორიებისა და პარამეტრების მიხედვით:

**პირველი კატეგორია:** ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

**პარამეტრები:**

- განათლების შესაბამისობა
- აკადემიური ხარისხის შესაბამისობა
- სამსახურებრივი გამოცდილების შესაბამისობა;
- პედაგოგიური სტაჟი;

**მეორე კატეგორია:** კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან.

**პარამეტრები:**

- პედაგოგიური გამოცდილება;
- კონკურსანტის ხელმძღვანელობით შედგენილი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო-მეთოდური საქმიანობა;
- კვალიფიკაციის სასამაღლებელი კურსები, ტრენინგები;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო კურსების ჩამონათვალი;
- წარმოდგენილი სილაბუსების შესაბამისობა (შინაარსისა და ფორმის შესაბამისობა);

**მესამე კატეგორია:** დარგის სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

**პარამეტრები:**

- ბოლო 6 წლის მანძილზე გამოქვეყნებული არაუმეტეს 10 მნიშვნელოვანი პუბლიკაციის (მონოგრაფია, სტატია, საკონფერენციო მასალები და სხვ.)ან სამეცნიერო ნაშრომის ხარისხობრივი შეფასება;
- პატენტები (გამოგონებები) ბოლო 6 წლის მანძილზე;
- მოხსენებები (არა უმეტეს 10-ია) სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში;
- საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში;
- საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომის ხარისხობრივი შეფასება;
- დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების კონცეფციის (საკვლევითემატიკის, საკვლევითპრობლემის, კომპეტენტურიბის)შეფასება;

**მეოთხე კატეგორია:** სხვა სახის აქტივობები (ბოლო 6წელი)

**პარამეტრები:**

- მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია და სხვა;

- უცხო ენების ცოდნის შეფასება;
- კომპიუტერული უნარების შეფასება;

### **კონკურსანტთან გასაუბრება**

#### **პარამეტრები:**

- კონკურსანტის პროფესიული უნარ-ჩვევების ფლობა,
- აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა;

6.8. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე ან ლექციაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს კონკურსანტის კონკურსიდან ნმობხსნის საფუძველს.

6.9. საკონკურსო კომისია კონკურსანტის მონაცემებს თითოეული კატეგორიის მიხედვით აფასებს სისტემით: მაღალი, საშუალო, დაბალი.

6.10. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს არ გაუწიოს რეკომენდაცია პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ პროფესორის/ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად, თუ მისი შეფასება პირველ კატეგორიაში უარყოფითია.

6.11 საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს რეკომენდაცია გაუწიოს პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ პროფესორის/ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად, თუ მე-2 და მე-3 კატეგორიაში ფიქსირდება შეფასება არანაკლებ „საშუალო“.

### **მუხლი 7. გადაწყვეტილების მიღება. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება და აკადემიური პერსონალის ახლადარჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობა**

7.1. წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ.

7.2. საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს აქვეყნებს რექტორის მიერ დადგენილ ვადებში უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

7.3. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგებს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი აქტით.

7.4. აკადემიური პერსონალის ახლადარჩეული წევრის უფლებამოსილება ძალაშია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

### **მუხლი 8. კონკურსის პროცედურისა და შედეგების გასაჩივრების წესი**

8.1. საკონკურსო კომისიის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით კონკურსანტს უფლება აქვს დარღვევიდან 3 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი საპროცედურო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

8.2. განცხადება/საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:



- ა) შესაბამისი საკონკურსო კომისიის დასახელება;
- ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;
- გ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი;
- დ) დარღვევის შინაარსი;
- ე) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;
- ვ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა, თარიღი და დრო.

8.3. განცხადებას/საჩივარს თან უნდა ერთვოდეს დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8.4. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს განცხადების/საჩივრის რეგისტრაციას (წინამდებარე წესის დანართი №7) და საკონკურსო კომისიისათვის დროულად გადაცემას. განმცხადებელს გადაეცემა ცნობა (წინამდებარე წესის დანართი №8), რომელშიც აღინიშნება განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო. საკონკურსო კომისია ვალდებულია განცხადების/საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს განცხადება/საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების, უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

8.5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 9. განმეორებითი კონკურსის ჩატარების წესი**

იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ მონაწილეობდა არცერთი კონკურსანტი ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ვაკანსია, დარჩენილ ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას დებულობს უნივერსიტეტის რექტორი.

### **მუხლი 12. დასკვნითი დებულებები**

საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს. საკონკურსო მასალები ინახება მომდევნო კონკურსის ჩატარებამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი, თუკი ერთი თვის ვადაში თავად კონკურსანტი არ მოითხოვს მის გატანას, განადგურდება.

**დანართი N 1**

### **ხელშეკრულება**

**ქ ბათუმი**

----- 2014 წ.

კერძო სამართლის იურიდიული პირი სასაჩავლო უნივერსიტეტი შპს „ბაუ ინთერნეიშელ უნივერსითი, ბათუმი“ (ს/ნ 445434888) წარმომადგენელი -----  
 ----- შემდგომში - „დამსაქმებელი“) და მოქალაქე -----

----- (შემდეგში „დასაქმებული“), დებს წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

### **მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში დასაქმებული ახორციელებს აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ----- პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე სასაჩავლო უნივერსიტეტში შპს „ბაუ ინთერნეიშელ უნივერსითი, ბათუმი“

### **მუხლი 2. დამსაქმებლის უფლება-მოვალეობანი**

#### **2.1. დამსაქმებელს უფლება აქვს:**

2.1.1. მოთხოვოს დასაქმებულს თავისი კომპეტენციის ფარგლებში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნათა შესრულება;

2.1.2. დააზუსტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რამაც არსებითად არ უნდა შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

2.1.3. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაავალდებულოს დასაქმებული, რათა მან შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო შესაბამისი ანაზღაურებით;

2.1.4. დასაქმებული ძირითადი სამუშაო ადგილიდან მიავლინოს სხვაგან სამუშაოს შესასრულებლად;

2.1.5. კანონმდებლობის ფარგლებში წახალისოს დასაქმებული ან პირიქით, უნივერსიტეტის აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში გაატაროს მის მიმართ ადმინისტრაციული ზომები, მათ შორის დაუქვითოს არასაპატიო მიზეზით გაცდენილი საათების ღირებულება;

#### **2.2. დამსაქმებელი ვალდებულია:**

2.2.1. შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები;

2.2.2. უნივერსიტეტის აქტებითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება;

2.2.3. ხელი შეუწყოს დასაქმებულის ჩართვას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში;

2.2.4. უზრუნველყოს დასაქმებული ანაზღაურებადი შვებულებით საქართველოს შრომის კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში.

### **მუხლი 3. დასაქმებულის უფლება-მოვალეობანი**

#### **3.1. დასაქმებულს უფლება აქვს:**

3.1.1. სამუშაოს შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა;

3.1.2. მოითხოვოს და მიიღოს უნივერსიტეტის აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

3.1.3. ისარგებლოს დასვენებისა და უქმე დღეებით, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყოველწლიური ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებით;

#### **3.2. დასაქმებული აღიარებს რა, რომ გაეცნო უნივერსიტეტის წესდებსა და შინაგანაწესს ვალდებულია:**

3.2.1. შეასრულოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კანონმდებლობით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოთა აქტებითა და წინამდებარე

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი და ეთიკის ნორმები;

3.2.2. ხელშეკრულების ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. შეავსოს „სტუდენტის (მსმენელის) მეცადინეობაზე დასწრების აღრიცხვისა და შეფასების ჟურნალი“ და „შეფასების უწყისი“, დადგენილი ფორმების შესაბამისად;

3.2.3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში იზრუნოს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო და სალექციო კურსის, მოდულის შემდგომ სრულყოფა-გაუმჯობესებაზე და სასწავლო პროცესში გამოიყენოს უნივერსიტეტში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები.

3.2.4. აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, შესაბამისი პროგრამული მიმართულებით დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესაბამისად;

3.2.5. მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და მართვაში;

3.2.6. მონაწილეობა მიიღოს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და მართვაში;

3.2.7. შეასრულოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის ნორმატივებით განსაზღვრული სამუშაო; დაეთანხმოს დამსაქმებლის გადაწყვეტილებებს დადგენილი აკადემიური (საათობრივი) დატვირთვის დაამის შესაბამისად შრომის აზღაურის ოდენობის ცვლილების შესახებ, თუ ასეთი გამოწვეულია დამსაქმებლის სტრუქტურული რეორგანიზაციით, სასწავლო პროცესის, სტუდენტთა კონტიგენტის ცვლილებით, ან/და სხვა ობიექტური გარემოებებით;

3.2.8. გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ, სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს მისი დაბრუნება უფლებამოსილი პირისათვის, უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.

#### **მუხლი 4. შრომის ანაზღაურება**

4.1. —სასაწავლო უნივერსიტეტი შპს „ბაუ ინტერნეიშელ უნივერსითი, ბათუმი“ პროფესორის /ასოცირებული პროფესორის /ასისტენტ პროფესორის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება (ხელფასი) შეადგენს ————— ლარს;

4.2. დამსაქმებლის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრება დასაქმებულის წლიური აკადემიური დატვირთვის ოდენობა წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის გარეშე. ასეთ შემთხვევაში დასაქმებული იღებს პროპორციულად შესაბამის ანაზღაურებას.

4.3. სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირის საათობრივი ანაზღაურების წესით სამუშაოს შესასრულებად მოწვევა არ საჭიროებს დამატებითი ხელშეკრულების შედგენას. დატვირთვის ოდენობა და შრომის ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამისად, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებების საფუძველზე.

4.4. დასაქმებულისათვის ხელფასზე დანამატის, პრემიის ან სხვა სახის ფულადი ანაზღაურების პირობები შესაძლებელია განისაზღვროს უნივერსიტეტის სხვა აქტებით;

#### **მუხლი 5. ხელშეკრულების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძველები**

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გავლის, საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებიდან, -----დან ----- წლის ----- მდე;

5.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სილაბუსის შინაარსიდან არსებითი გადახვევა;

- გ) სამეცნიერო ნაშრომის (სამეცნიერო სტატია, საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო), სტუდენტის ცოდნის არაობიექტური შეფასება ან პლაგიატი;
- დ) პროტექციის გზით სტუდენტის შეფასების შედეგებზე ზემოქმედება;
- ე) გამორჩენის მიზნით სტუდენტისათვის დამატებითი მომსახურების გაწევა;
- ვ) სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ ცნობა;
- ზ) გარდაცვალება;
- თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და დამსაქმებლის სხვა აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევები.

**მუხლი 6. დავების გადაწყვეტა**

მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს წესით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 7. დასკვნითი დებულებები**

- 7.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება დამსაქმებელთან, ხოლო მეორე - დასაქმებულთან.
- 7.2. ხელმოწერებით მხარეები ადასტურებენ თანხმობას წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსზე.

**მხარეთა ხელმოწერები**

„დამსაქმებელი“  
 სასაწავლო უნივერსიტეტი შპს „ბაუ  
 ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“  
 წარმომადგელი (რექტორი)  
 \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_/

„დასაქმებული“  
 სახელი, გვარი \_\_\_\_\_  
 კ/მ№ \_\_\_\_\_  
 კ/ნ \_\_\_\_\_  
 ფაქტ/მის \_\_\_\_\_  
 რეგისტრ.მის \_\_\_\_\_

**დანართი N2**

„ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“  
 სასაწავლო უნივერსიტეტის  
 საკონკურსო კომისიას

მოქალაქე \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_

(სახელი, გვარი, მისამართი)

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო „ბაუნთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ სასწავლო  
უნივერსიტეტის  
\_\_\_\_\_ ფაკულტეტის

საბაზისო/კლინიკური თერაპიის/კლინიკური ქირურგიის (ხაზი გაუსვით) მიმართულებით

\_\_\_\_\_ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები „ბაუნთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის წესდებას და აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესსა და პირობებს.

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი/ ელ.ფოსტა

რეგისტრირებულია: \_\_\_\_\_

თარიღი N სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით

კონკურსანტის ანკეტა

ა) პირადი ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

პირადი ნომერი	
სახელი	
გვარი	
დაბადების თარიღი	
სქესი	
მოქალაქეობა	
იურიდიული მისამართი	
ფაქტიური მისამართი	
ტელეფონი	
მობილური	
ქალაქის ინდექსი	
ელექტრონული ფოსტა	

ფოტო
------

სამეცნიერო ინტერესების სფერო:

1	
2	
3	

ბ) საკონკურსო პოზიცია

	<input type="checkbox"/> პროფესორი	<input type="checkbox"/> ასოცირებული პროფესორი	<input type="checkbox"/> ასისტენტ პროფესორი
საკონკურსო თანამდებობების სრული დასახელება			

სტატუსი

საგანმანათლებლო დაწესებულება სადაც ამჟამად მუშაობთ	
---	--

თანამდებობა (ასისტენტ პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი, ემირიტუსი, მოწვეული პერსონალი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი)	
არჩევის/მოწვევის თარიღი	
დასრულების თარიღი	

**I. კატეგორია: განათლება, აკადემიური ხარისხი და სამუშაო გამოცდილება**

**1.1 განათლება**

უსდ (დაამთავრა)	
სწავლების საფეხური (შეავსეთ ყველა მიღებული კვალიფიკაცია) (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, ერთსაფეხურიანი 4 წლიანი, ერთსაფეხურიანი 5 წლიანი, ერთსაფეხურიანი 6 წლიანი, რეზიდენტურა)	
დიპლომის ნომერი	
გაცემის თარიღი	
კვალიფიკაცია	
მიმართულება (კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით)	
დარგი/კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით)	

**1.2. აკადემიური ხარისხი**

აკადემიური ხარისხი (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორთან გათანაბრებული, დოქტორი)	
მოპოვების თარიღი	
თემის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	
მიმართულება (კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით)	

დარგი/სპეციალობა (კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით)	
--	--

სადოქტორო ხარისხი (PhD/ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა);

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	
თარიღი	
მიმართულება (კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით)	
დარგი/სპეციალობა (კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით)	
სპეციალიზაცია	

1.3. სამუშაო გამოცდილება (ბოლო 6 წელი)

#	-დან -მდე	სამუშაო ადგილი
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		

II. კატეგორია: საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური და სასწავლო-მეთოდური საქმიანობა

2.1 პედაგოგიური სტაჟი და გამოცდილება

6 წელზე მეტი <input type="checkbox"/>	6 წელზე ნაკლები <input type="checkbox"/>
---------------------------------------	--

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სწავლების საფეხური	სასწავლო კურსები

2.2. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში)



<b>სახელმძღვანელო (მათ შორის დამხმარე)</b>	
<b>№</b>	<b>სახელმძღვანელოს/სალექციო კურსის დასახელება, გამოცემის წელი</b> (ელექტრონული კურსებისათვის ელ. მისამართი)
<b>1</b>	
<b>სალექციო კურსები (გამოქვეყნებული/ელექტრონული)</b> (ელექტრონული კურსებისათვის ელ. მისამართი)	
<b>1</b>	

**2.3. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები (ბოლო 6 წლის განმავლობაში)**

თარიღი	კურსების/ტრენინგების დასახელება	დიპლომის/სერთიფიკატის ნომერი

**2.4. სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს (პრიორიტეტი ენიჭება უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კურსთან მიმართებით წარმოდგენილ ინფორმაციას)**

№№	კურსის დასახელება ლექციების კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია	საგანმანათლებლო პროგრამა	ლექცია	პრაქტიკული/ჯგ უფში მუშაობა/სასწავლ ობის ლაბორატორიულ ი სამუშაო
1				
2				
3				

**2.5. წარმოდგენილი სილაბუსები (წარმოადგინეთ დანართის სახით)**

			მეცადინეობის ფორმა
--	--	--	-----------------------

№№	კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა	ლექცია	პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა/სასწავლო პრაქტიკა სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო
1					
2					
3					

**III. კატეგორია: საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში):**

**3.1. მნიშვნელოვანი პუბლიკაციები არაუმეტეს 10-ისა კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ბოლო 6 წლის განმავლობაში)**

(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით).

1	
2	
3	
4	
5	
6	

**3.2. პატენტები (გამოგონებები) (ბოლო 6 წლის განმავლობაში)**

№	გაცემის წელი	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი
1				
2				
3				

**3.3. კონკურსანტის შეხედულებისამებრ მნიშვნელოვანი მოხსენებები სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (არა უმეტეს 10-ისა), შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს დანართის სახით.**

	ეროვნული კონფერენცია
1.	
2.	
3.	

	საერთაშორისო კონფერენცია
1.	
2.	
3.	
	ინტერნეტ კონფერენცია
1.	
2.	
3.	

**3.4. საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში.**

№	განხორციელების წლები	დონორი ორგანიზაცია, პროექტის/ხელშეკრულების №	პროექტის დასახელება	როლი პროექტში
1				
2				

**3.5. საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი ნაშრომი (წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით)**

უბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, ვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი	გამოქვეყნების წელი

**3.6. საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაცო წერილი<sup>1</sup> (წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით)**

**IV. კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)**

**4.1. მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, სტიპენდია, ჯილდო, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და სხ.**

№	აქტივობის დასახელება

**4.2. უცხო ენების ცოდნა ( ლექსიკონის დახმარებით, კარგად, ძალიან კარგად):**

1		
---	--	--

<sup>1</sup> სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება, ასიტენტ-პროფესორები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს.

2		
3		

**4.3. კომპიუტერული უნარები (საწყისი დონე, კარგად, ძალიან კარგად):**

1		
2		
3		

ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ

---

ხელმოწერა გარკვევით

თარიღი

„ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის

..... ფაკულტეტის

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

2014 წლის ----- გამოცხადებული კონკურსის მონაწილეთა

**სარეგისტრაციო ჟურნალი**

რეგისტრაციის #	განცხადების შემოტანის თარიღი	განმცხადებლის სახელი და გვარი	მიმართულება	საკონკურსო თანამდებობა	განცხადებისა და ანკეტის დანართები		ხელის მოწერა		შენიშვნა
					დოკუმენტების რაოდენობა	ფურცლების რაოდენობა	რეგისტ- რატორის	განმცხა- დებლის	

ჟურნალში დანომრილია, ზონარგაყრილია და ..... ბეჭდით დალუქულია ... ფურცელი.

ხელმოწერა: .....

.....

/თარიღი/

# ცნობა #.....

/სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით/

## საკონკურსო განცხადების მიღების შესახებ

ემლევა .....

მასზედ, რომ მან 2014 წლის ..... შემოიტანა განცხადება „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“სასწავლო უნივერსიტეტის ..... ფაკულტეტის ..... მიმართულების ..... აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

განცხადებას თან ერთვის:

1. კონკურსანტის ანკეტა ..... ფურცელზე;
2. სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის (დოქტორანტურაში/რეზიდენტურაში სწავლის)დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები)..... ფურცელზე;
3. სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელისაბუთი (საბუთები)..... ფურცელზე;
4. სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა ..... ფურცელზე;
5. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
6. ფოტოსურათი (3X4) ....., 2 ცალი;
7. ინგლისური ენის ცოდნის (B2 დონე)დამადასტურებელი დოკუმენტი
8. სხვა დოკუმენტაცია ..... დასახელება ..... ფურცელზე.

განცხადებამიიღო:

სახელი, გვარი	ხელმოწერა
---------------	-----------

კონკურსანტის შეფასების ფორმა

ა) ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	

ბ) საკონკურსოპოზიცია

	<input type="checkbox"/> პროფესორი	<input type="checkbox"/> ასოცირებული პროფესორი	<input type="checkbox"/> ასისტენტ პროფესორი
ფაკულტეტი (საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)			

შ ე ფ ა ს ე ბ ა

I კატეგორია: ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

1.1 განათლება

შესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

1.2 აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი

შესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

1.3 სამუშაო გამოცდილება

შესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

1.4 პედაგოგიური სტაჟი

შესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით:

კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს <input type="checkbox"/>	კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს <input type="checkbox"/>

II კატეგორია: პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

2.1 პედაგოგიური გამოცდილება  
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

2.2 სასწავლო-მეთოდური საქმიანობა  
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

2.3 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები  
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

2.4 სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს:  
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

2.5 წარმოდგენილი სილაბუსები

- ა) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის დადგენილ მოთხოვნებს
- ბ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა ნაწილობრივ შეესაბამება უნივერსიტეტის დადგენილ მოთხოვნებს
- გ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა არ შეესაბამება უნივერსიტეტის დადგენილ მოთხოვნებს

საერთო შეფასება II კატეგორიის მიხედვით:

მაღალი	საშუალო	დაბალი

III კატეგორია: საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა:

3.1. მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია, რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვა)	
3.2. პატენტები (გამოგონებები)	
3.3. მოხსენებები სამეცნიერო კონფერენციებზე	
3.4. საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა	

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

3.5 საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი  
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

3.6 საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი<sup>2</sup>:

<sup>2</sup>სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება, ასიტენტ-პროფესორები წარმოდგენენ სამოტივაციო წერილს.



შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით:

შეფასება	მაღალი	საშუალო	დაბალი
ხელს შეუწყობს დარგის სწავლებისა და კვლევითი პროფილის განვითარებას,			

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა

4.1 მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია და სხვა  
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

4.2 უცხო ენების ცოდნა

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

4.3 კომპიუტერული უნარები

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ  არა

საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით

შეფასება	მაღალი <input type="checkbox"/>	საშუალო <input type="checkbox"/>	დაბალი <input type="checkbox"/>
ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის შემდგომ წინსვლას და განვითარებას			

კონკურსანტების საბოლოო შეფასების ერთიანი ცხრილი

კატეგორია შეფასება	I კატეგორია	II კატეგორია	III კატეგორია	IV კატეგორია
აკმაყოფილებს მოთხოვნებს				
ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს				
მაღალი				
საშუალო				
დაბალი				

გადაწყვეტილება .....

.....

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი

„ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის  
 ..... ფაკულტეტის  
 საკონკურსო კომისიაში შემოსული საჩივრების  
 სარეგისტრაციო ჟურნალი

რეგისტრაციის #	განცხადების შემოტანის თარიღი	განმცხადებლის სახელი და გვარი	განმცხადებლის სტატუსი	განცხადების დანართები		ხელის მოწერა		შენიშვნა
				დოკუმენტების რაოდენობა	ფურცლების რაოდენობა	რეგისტ- რატორის	განმცხადებლის	

ჟურნალში დანომრილია, ზონარგაყრილია და ..... ბეჭდით დალუქულია ... ფურცელი.

ხელმოწერა: .....  
 .....  
 /თარიღი/

ცნობა #.....

/სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით/

**საჩივრის მიღების შესახებ**

ეძლევა ..... მასზედ, რომ მან 2014 წლის ..... შემოიტანა განცხადება/საჩივარი „ბაუნთერნიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“სასწავლო უნივერსიტეტის.....  
..... ფაკულტეტის საკონკურსო კომისიაში.

საჩივარი წარმოდგენილია ... ფურცელზე.

განცხადება/საჩივარი  
მიიღო:

\_\_\_\_\_

სახელი, გვარი

\_\_\_\_\_

ხელმოწერა

ბაუ ინთერბეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი  
 კომპურსის ვაკანტური აკადემიური თანამდებობები  
 მედიცინის ფაკულტეტი

#	მიმართულება	ასისტენტ პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	სრული პროფესორი
1	საბაზისო მედიცინა	1		
2	კლინიკური თერაპია	2	2	
3	კლინიკური ქირურგია	3	1	1
სულ:		6	3	1

**სასწავლო უნივერსიტეტი  
“ბაუნთერნიშენალ უნივერსითი, ბათუმი“  
აცხადებს კონკურსს 2014 წლის 29 დეკემბრიდან  
აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად**

“ბაუნთერნიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) მედიცინის ფაკულტეტი აცხადებს ღია კონკურსს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

**საბუთების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის კორპუსის მე-2 სართულზე, საპროფესოროში.**

კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე.

**კონკურსთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია განთავსებულია  
უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: [www.bauinternational-uni.ge](http://www.bauinternational-uni.ge)**

**I. განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა და სხვა) და განცხადებების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიების მიერ **2014 წლის 29 დეკემბრიდან 2015 წლის 5 იანვრის ჩათვლით, 10<sup>00</sup> საათიდან 17<sup>00</sup> საათამდე.**

კონკურსი ჩატარდება **2015 წლის 6 იანვრიდან 12 იანვრის ჩათვლით.**

საკონკურსო კომისიების მიერ კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს **2015 წლის 15 იანვარს**, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე: **[www.bauinternational-uni.ge](http://www.bauinternational-uni.ge)**

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედების დღიდან.

**II. საკონკურსო პირობები**

2.1. უნივერსიტეტის პროფესორად **6 წლის** ვადით შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2.2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად **6 წლის** ვადით შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის

დასაკავებლად საჭიროა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2.3. უნივერსიტეტის **ასისტენტ-პროფესორად 4 წლის** ვადით შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

2.4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს უნივერსიტეტის საპროცედურო კომისიას.

2.5. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარმოდგენილი იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე.

2.6. პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს:

- ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ქსეროასლთან ერთად;
- ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების მიერ;
- გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების სილაბუსი (სილაბუსები);
- დ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია) ავტორის შეხედულებისამებრ, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას (გამოქვეყნებული ბოლო 6 წლის განმავლობაში);
- ე) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია სწავლების სამივე საფეხურზე;
- ვ) უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი დამოწმებული სანოტარო წესით;
- ზ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4.
- თ) ინგლისური ენის B 2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.7. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს:

- ა) პირადობის მოწმობის დედანი – ქსეროასლთან ერთად;
- ბ) სამოტივაციო წერილი;
- გ) უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი დამოწმებული სანოტარო წესით.
- დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4.
- ე) ინგლისური ენის B 2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.8. პროფესორის, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსი/სილაბუსები.

2.9. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი დადგენილი კონკურსში მონაწილეობის მსურველის განცხადება (დანართი №2), კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტა (დანართი №3) და შესაბამისი დოკუმენტაცია.

2.10. კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.

2.11. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნას სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა.

2.12. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

### III. კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა

3.1. 65 წელს მიღწეული პირის მიერ უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორი.

#### IV. კონკურსის ჩატარების წესი

4.1. კონკურსი ჩატარდება “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სასწავლო უნივერსიტეტის „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიებში ან/და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4.2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გაითვალისწინება:

- ა) განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურეობრივი გამოცდილება;
- ბ) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (PhD/ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა);
- გ) საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-პედაგოგიური და სასწავლო-მეთოდურის საქმიანობა;
- დ) კონკურსანტის ხელმძღვანელობით შედგენილი აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- ე) კონკურსანტთა მონაწილეობა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და ტრენინგებზე (ბოლონ წლის განმავლობაში);
- ვ) სასწავლო კურსების რაოდენობა, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს (პრიორი-ტეტიენიჭება უნივერსიტეტში მოქმედისაგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კურსთან მიმართებით წარმოდგენილი ნორმაციას);
- ზ) საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი დარგის სწავლება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში);
- თ) პუბლიკაციები არაუმეტეს 10-ისა, კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ბოლონ წლის განმავლობაში);
- ი) პატენტები/გამოგონებები (ბოლონ წლის განმავლობაში);
- კ) კონკურსანტის შეხედულებისამებრ ბოლონ წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მოხსენებების აერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე (არა უმეტეს 10-ისა).
- ლ) საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლონ წლის განმავლობაში.
- მ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა.